



**ევროკავშირი  
საქართველოსთვის**  
Project funded by the European Union



**KFW**



**აჭარის წყლის  
ალიანსი**

## აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

**საინფორმაციო ბიულეტენი N24**  
**ივლისი, 2022**

### სასწავლო ვიზიტი საფრანგეთში

სს „აჭარის წყლის ალიანსის“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები, სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ საფრანგეთში, ლიონში. ვიზიტი აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში იყო ორგანიზებული.

შეხვედრის მიზანს, ქართული დელეგაციისთვის „ხელოვნური ჭაობის“ ტექნოლოგიის გაცნობა წარმოადგენდა, რადგან აღნიშნული საქართველოში ჯერ არ გამოიყენება და შესაძლებელია მისი გამოყენება, როგორც არსებული სისტემის პოტენციური ალტერნატივა.

ხელოვნური ჭაობი წარმოადგენს ბუნებრივი გადამუშავების ვრცელ და ეფექტიან პროცესს, დაბალი ენერგეტიკული მოთხოვნებით და ექსპლუატაციისა და ტექნიკური უზრუნველყოფის მცირე ხარჯებითა და შეზღუდვებით. ხელოვნური ჭაობი იყენებს ჭაობის მცენარეულობის, ნიადაგისა და მათი მიკრობული პოპულაციების ბუნებრივ ფუნქციებს სამეურნეო ჩამდინარე წყლების დამაბინძურებლების გასაწმენდად და გასაუვნებლად.

პროგრამის ფარგლებში, საკონსულტაციო კომპანია Fichtner (LoT 1) აჭარაში 9 ერთეული ხელოვნური ჭაობის მოწყობას გეგმავს, წყალარინების წყლების განმუხტვის მიზნით. ქართულ დელეგაციას, ფრანგმა კოლეგებმა ხელოვნური ჭაობის ტიპის ჩამდინარე წყლების განმუხტვის ნაგებობის მშენებლობისა და ოპერირების შესახებ გაუზიარეს გამოცდილება.

სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, ექვს გამწმენდ ნაგებობაზე იმყოფებოდნენ, საიდანაც ერთ-ერთზე სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. მიღებული პრაქტიკული გამოცდილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აჭარის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ქობულეთი) დაგეგმილი ხელოვნური ჭაობის ტიპის განმუხტვის ნაგებობების მოსაწყობად.

დელეგაციაში გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და ნებართვებზე პასუხისმგებელი პირები იმყოფებოდნენ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან. მათთვის ტექნოლოგიის და მასთან ასოცირებული პოტენციური რისკების შესაფასებლად, კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ხელოვნური ჭაობის მუშაობის პრინციპის აღქმა.

სასწავლო ვიზიტი საკონსულტაციო კომპანიების MACS და Fichtner მიერ იყო ორგანიზებული, აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში.



### ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ.

პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩამდინარეობით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო  
+995 422 27 86 86  
info@awa.ge  
www.awa.ge





ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
Project funded by the European Union



KfW



აჭარის წყლის  
ალიანსი

## AJARA RURAL WATER AND WASTEWATER TREATMENT PROGRAMME

NEWSLETTER N24

JULY, 2022

### STUDY TOUR IN FRANCE

Representatives of JSC "Ajara Water Alliance", the Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia and the Ministry of Finance and Economy of Ajara visited France, Lyon in the frame of a study tour that was organized in the framework of the Ajara Rural Water Supply and Wastewater Program.

The objective was to introduce the technology of "constructed wetlands" to the Georgian delegation, as this technology is not yet applied in Georgia and could be applied there as a potential alternative to the current system.

Constructed Wetland is an extensive and efficient natural treatment process with low energy requirements and low operation and maintenance costs and constraints. Constructed Wetlands utilize the natural functions of wetland vegetation, soil and their microbial populations to treat and remove contaminants in domestic wastewater. The treatment process consists in planted filters, treating the effluent by filtration, adsorption and biological degradation of the organic pollution.

In the framework of the Program, the LOT 1 consultant has designed 9 constructed wetland wastewater treatment plants in rural Ajara. The experience of construction and operation a constructed wetland wastewater treatment plant was shared to the Georgian delegation by French colleagues.

As a part of the study tour, the visit to six treatment plants was implemented; one of which is under construction. The exchange of practical experience is especially important for the construction of the planned wetland wastewater treatment plants in the municipalities (Keda, Shuakhevi, Kobuleti) of Ajara.

The Ministry of Environmental Protection and Agriculture, responsible for Environmental and Social Impact Assessment and Permitting, was part of the delegation as well as representatives of the Project Executing Agency. To assess the technology and associated risks, it was critical to understand the technology and its operation.

The study tour was organized by the consultants MACS and Fichtner in the framework of the KfW-EU supported Rural Water and Wastewater Programme Ajara.

ne pillar for the Ajara Rural Wat.



### GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Treatment Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.

The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara.

"Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



FICHTNER



IRC  
Supporting water sanitation  
and hygiene services for life



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia  
+995 422 27 86 86  
info@awa.ge  
www.awa.ge